სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 ივლისი 2026

N 482/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, შპს „რეკსოლ“ის ნარჩენების აღდგენის (საბურავების გადამუშავება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-17 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, შპს „რეკსოლ“-ის ნარჩენების აღდგენის (საბურავების გადამუშავება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N18;
2. შპს „რეკსოლი“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N18 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რეკსოლს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რეკსოლ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/482-21-4-202607141803

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE